გნებავთ, გამცნოთ ყველაზე დიდი ცოდვების შესახებ

აბუ ბაქრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გნებავთ, გამცნოთ ყველაზე დიდი ცოდვების შესახებ?» და გაიმეორა სამჯერ, მიუგეს: რა თქმა უნდა, ო, ალლაჰის შუამავალო. მან თქვა: «ალლაჰზე თანაზიარის დადგენა და მშობლებისადმი უპატივცემულობა». ის ნახევრად წამოწოლილი იყო, წამოჯდა და გააგრძელა: «და სიცრუეზე მოწმობა». და ის იმეორებდა მანამ, სანამ არ გავიფიქრეთ: "ნეტავი, გაჩუმდეს".

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნობს თავის საჰაბებს უდიდესი ცოდვების შესახებ. და მოიხსენია სამი დიდ ცოდვათაგან: 1. ალლაჰზე თანაზიარის დადგენა: ეს გულისხმობს თაყვანისცემის ნებისმიერი ფორმით ალლაჰის გარდა სხვაზე მიმართვას ან ალლაჰის გათანაბრებას სხვასთან მის ღვთაებრიობაში, მბრძანებლობაში, სახელებსა და თვისებებში. 2. მშობლებისადმი უპატივცემულობა: ეს არის მშობლებისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენება, იქნება ეს სიტყვით თუ ქმედებით, და მათდამი სიკეთის კეთების მიტოვება. 3. სიცრუის თქმა და სიცრუის მოწმობა: ეს არის ყოველი წარმოთქმული ცრუ სიტყვა, რომელიც მიზნად ისახავს იმ პირის დაკნინებას, ვის წინააღმდეგაც არის წარმოთქმული, იქნება ეს მისი ქონების ჩამორთმევა თუ სხვა მისი მსგავსი. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რამდენჯერმე გაიმეორა გაფრთხილება სიცრუის თქმაზე, რათა გაემახვილებინა ყურადღება მისი სიმახინჯისა და საზოგადოებისთვის მისი ცუდი შედეგების მიმართ. ამას იმდენად ხშირად იმეორებდა, რომ თანხმლებებმა თქვეს: «ნეტავი გაჩუმდეს», თანაგრძნობის გამო და იმის გამო, რომ მათ არ სურდათ ის შეწუხებულიყო ამის გამო.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/2941